ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5518812

ნომერი: AR1839012

თარიღი : 20.07.2021

გაცემის თარიღი : 30.07.2021

გაცნობის თარიღი : 03.08.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, იუსტინე აბულაძის ქუჩა, N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ორგანიზაცია:
- შპს არტსტუდიო პროექტი კოდი: 204489393

ნომენკლატურა :

- საწყობი
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საწყობი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი სულაბერიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს არტსტუდიო პროექტი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204489393

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "მაილინ გრუპ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205207364
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ზაქარია დუდაური
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 710757873

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 3653077 (გაგრძელება № 5265262; 03.02.2021; № 5382647, 29.04.2021)
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 2.11.2017

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2021 წლის 03 თებერვლის № 5265262 დემნტაჟის მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 23 მარტის №1179329 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – ისანი), წურწუმიასა და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე, ნაკვეთი 50/024, შ.პ.ს. "მაილინ გრუპ"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე ავარიული შენობა–ნაგებობის დემონტაჟის არქიტექტურული პროექტი; გაიცა დემონტაჟის ნებართვა და სანებართვო მოწმობა; დემონტაჟის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 26 მარტიდან 2014 წლის 26 ივნისის ჩათვლით;

2017 წლის 12 სექტემბრის AR1539620 განცხადების საფუძველზე 2017 წლის 02 ნოემბრის №3653077 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში (სექტორი – ისანი), წურწუმიასა და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე, ნაკვეთი 50/024, შპს "მაილინ გრუპ"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე ავარიული შენობა–ნაგებობების დემონტაჟის ნებართვის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი დემონტაჟის ნებართვა და სანებართვო მოწმობა, დემონტაჟის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 3 ნოემბრიდან 2018 წლის 3 თებერვლის ჩათვლით.

2021 წლის 26 იანვრის AR1800559 განცხადების საფუძველზე 2021 წლის 03 თებერვლის № 5265262 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში (სექტორი – ისანი) იუსტინე აბულაძის ქ. N15-ში შპს "მაილინ გრუპ"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა–ნაგებობების დემონტაჟის ნებართვის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი დემონტაჟის ნებართვა და სანებართვო მოწმობა; დემონტაჟის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 3 თებერვლიდან 2021 წლის 3 მაისის ჩათვლით.

2021 წლის 22 აპრილის AR1822724 განცხადების საფუძველზე 2021 წლის 29 აპრილის №5382647 ბრძანებით შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 03 თებერვლის № 5265262 ბრძანებაში და გაუგრძელდა მშენებლობის ნებართვის ვადა. დემონტაჟის ვადა განისაზღვრა 021 წლის 29 აპრილიდან 2021 წლის 29 ივლისის ჩათვლით.

2021 წლის 20 ივლისის №AR1839012განცხადებით მოგვმართა მოქ. ქეთევან ფანცულაიამ, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 03 თებერვლის №5265262 ბრძანებაში, კერძოდ ჩანაწერი, " დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 29 აპრილიდან 2021 წლის 29 ივლისის ჩათვლით.", შეიცვალოს ჩანაწერით „დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 30 ივლისიდან 2021 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით";
2 . წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 03 თებერვლის №5265262 და 2021 წლის 29 აპრილის № 5382647 ბრძანებებთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.